საქართველოს მთავრობის განკარგულება

№212 2018 წლის 26 იანვარი ქ. თბილისი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბალანსზე რიცხული უძრავი ქონებისა და სასადილოს ინვენტარის აუქციონის გარეშე სარგებლობაში გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიეცეს თანხმობა მის ბალანსზე რიცხული, ქ. თბილისში, გორგასლის ქუჩა №16-ში მდებარე 395 კვ.მ უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.18.05.002.006) და მის ბალანსზე რიცხული სასადილოს ინვენტარისა და მოწყობილობის აუქციონის გარეშე, სასყიდლით, 2018 წლის 1 თებერვლიდან 2019 წლის 1 თებერვლამდე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, შპს „ჰარმონი ივენთსისათვის“ (ს/ნ: 204567922) იჯარით გადაცემის თაობაზე და ყოველთვიურ საიჯარო ქირად განისაზღვროს 1 580 (ერთი ათას ხუთას ოთხმოცი) ლარი.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი